



MES 2 21 0000268035



22/03/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 05.03.2021

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 20:40სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
- 2. ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 3. მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
- 4. ანა ფირცხალაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
- 5. გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
- 6. ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
12. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
14. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
16. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
17. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
18. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	თამარ სადრაძე	შპს- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I

2.	გიორგი გოგიაშვილი		სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	II
3.	ნინო ხოფერია		პროფესორი	I, II
4.	პოლიკარპე მონიავა		პროფესორი	I, II
5	სოლომონ მენაბდიშვილი		მოწვეული სპეციალისტი	I, II
6	ედიშერ ფუტყარაძე		მოწვეული სპეციალისტი	I, II
7	თამარ ტუფინაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
8	ანა ფირცხალაშვილი	შპს - საქართველოს ეროვნული	ვიცე-რექტორი	III
9	გოდერძი ბუჩაშვილი	უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი	III
10	გიორგი ღავთაძე		ვიცე-რექტორი	III
11	ნონა ზუმბაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
12	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
13	მირანდა მნაცაკანიანი	უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
14	ნათია ლაჭავა		პროგრამის ხელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ლევან მოსახლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ნინო ლიპარტია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	ლილე ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

6	სალომე საბიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	თინათინ გვამაბაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ეკა ლეფსვერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	ირინა ნაკაშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	თამარ ხასიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღისწესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველისაკითხი: შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი LAW
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№399, 02.12.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law (LLB))
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421 Law
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. №25, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1.2. კომპონენტთან მიმართებით

რეკომენდებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსის ქულას. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უნდა აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე ფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით;

2.2. კომპონენტთან მიმართებით

რეკომენდირებულია დაზუსტდეს მთელი რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები მაგალითად. სავალდებულო სასწავლო კურსს „საერთაშორისო საჯარო სამართალს“ დაშვების წინაპირობა არ გააჩნია. აღნიშნული სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“, დაზუსტებას მოითხოვს სავალდებულო სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“-ს დაშვების წინაპირობებიც. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ სასწავლო კურსი

„ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)“, რაც აშკარად არასაკმარისია ამ სასწავლო კურსის შესასწავლად. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1“, არჩევით სასწავლო კურსს „საქართველოს კონკურენციის სამართალს“ დაშვების წინაპირობა არ გააჩნია. აღნიშნული სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)“, არჩევით სასწავლო კურსს „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა“-ს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „სანივთო სამართალი“ და „სახელშეკრულებო სამართალი“. სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსები „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“ და „შრომის სამართალი“, არჩევით სასწავლო კურსს „სასჯელის შეფარდება“-ს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი“, არჩევით სასწავლო კურსს „კრიმინოლოგია“-ს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართალი კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები)“, არჩევით სასწავლო კურსს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“-ს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „სისხლის სამართალი კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები)“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი“. 2.3. სტანდარტთან მიმართებაში რიგ შემთხვევებში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების მოცულობა არაადეკვატურია და არ ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. მთელ რიგ სავალდებულო სასწავლო კურსებში (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი I (საჯარო მმართველობა), ადმინისტრაციული სამართალი II (ადმინისტრაციული წარმოება), საერთაშორისო საჯარო სამართალი, ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, შესავალი 6 სამოქალაქო სამართალში, სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელშეკრულებო სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი I, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი II, საკორპორაციო სამართალი, სისხლის საპროცესო სამართალი ზ/ნ, სისხლის საპროცესო სამართალი კ/ნ) საკონტაქტო საათების განაწილებისას სალექციო საათებისთვის განსაზღვრულია კვირაში მხოლოდ ერთი საკონტაქტო საათი, რაც აშკარად არასაკმარისია აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული თემატიკის სტუდენტებისათვის სრულყოფილად გადასაცემად. რეკომენდირებულია, უსდ-მ ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსებში (და არა მხოლოდ, არამედ მთელ რიგ არჩევით სასწავლო კურსებშიც) გადახედოს ყოველკვირეული სალექციო საათების მოცულობას, სასწავლო კურსის სპეციფიკის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

2.4. კომპონენტთან მიმართებით

მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების შესახებ, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების აქტივობის მაჩვენებელი სამეცნიერო-კვლევით პროექტებში დაბალია. რეკომენდირებულია უსდ-მ გააუმჯობესოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა

სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება.

4.2 კომპონენტთან მიმართებით

გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

5.2. კომპონენტთან მიმართებით

რეკომენდირებულია, რომ აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც განსაზღვრულია შეფასების პერიოდულობა, შეფასების კომპონენტები, შეფასების შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენების გზები და სხვა. საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად არის აღწერილი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კომპონენტები, ქულები და კრიტერიუმები. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოყენებული იქნება იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს სწავლის შედეგს. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდება ყოველწლიურად, შესაბამისი გეგმის მიხედვით. იქიდან გამომდინარე, რომ სააკრედიტაციო დოკუმენტაცია არ მოითხოვს სწავლის შედეგების შეფასების წარმოდგენას, აღნიშნული დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი საბჭოზე, თუმცა სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორც პერიოდულობა ასევე შეფასების კრიტერიუმები. თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია ფასეულია დაწესებულებისათვის და ზუსტად ასახავს უნივერსიტეტის მიდგომას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საკითხში.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასევე ისაუბრა 2.4 კომპონენტთან მიმართებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა დაფინანსების წესი და ყოველწლიურად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, მიუხედავად იმისა, რომ ბაკალავრიატის საფეხურის პროგრამა არ არის კვლევაზე ორიენტირებული.

რაც შეეხება რეკომენდაციას 4.2 კომპონენტთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი აღნიშნული მიმართულებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან, თუმცა ამ ეტაპზე ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, აღნიშნული პროცესი დროებით შეფერხდა.

5.2 კომპონენტთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციას გააჩნია რჩევის ხასიათი, რადგანაც, მისი გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ მომავალში. 2011 წელს აკრედიტაციის მიღების დროს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ინფორმაცია, მათ შორის განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე, წლების განმავლობაში ისახებოდა სავალდებულო ყოველწლიურ ანგარიშებში, რომელსაც დაწესებულება წარადგენდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა საკმაოდ საინტერესოა, თუმცა აღნიშნულ კვლევაში წერია, რომ გამოიკითხა 16 განსხვავებული ორგანიზაციის წარმომადგენელი, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა მოცემული კვლევა არის თუ არა 16 ადამიანის ჩაღრმავებული ინტერვიუს საფუძველზე გაკეთებული დასკვნა? აღნიშნული პირობის არსებობის შემთხვევაში, კვლევის ვალიდურობა აჩენს საფუძვლიან ეჭვს.

გარდა აღნიშნულისა, საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ ასევე ისაუბრა სამართლის სკოლის ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბიუჯეტი მოცემულია შეცდომით, რადგან შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებულია 122 000 ლარი, მათ შორის კი პერსონალის ხელფასი 155 000 ლარია, რაც შეუსაბამოა ერთმანეთთან. ცხადია, რომ აღნიშნული წარმოდგენს ტექნიკურ ხარვეზს, თუმცა საჭიროებს გამოსწორებას. ბიუჯეტში ასევე მოცემულია, რომ სხვაობა შემოსავალსა და ხარჯს შორის არის 69 785, რაც დადებითი მაჩვენებელია, თუმცა საინტერესოა თუ რაში იხარჯება აღნიშნული თანხა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაზე შეინიშნება სტუდენტთა მიღების რაოდენობის კლება, 2016 წელს თუ 28 სტუდენტი იყო, ამჟამად 2020 წელს პროგრამაზე მიღებულია მხოლოდ ერთი სტუდენტი. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, არსებობს თუ არა დასკვნები ამ საკითხთან დაკავშირებით და კვლევა, თუ რამ გამოიწვია სტუდენტების ამგვარი კლება.

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა 2.2 კომპონენტთან მიმართებით და განმარტა, რომ საკამოდ ბევრი საკითხია მოცემული, რომელებიც წარმოდგენენ პრერეკვიზიტებს. საბჭოს წევრი გაეცნო აღნიშნულ საკითხთან მიმართებით დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას თუმცა განმარტა, რომ მასში მხოლოდ ექსპერტთა დასკვნებია მოცემული და შესაბამისად გაურკვეველია, ეთანხმება თუ არა დაწესებულება ექსპერტთა პოზიციას 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა ასევე ისაუბრა პროგრამის სილაბუსებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პრობლემას წარმოდგენს ის, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოებისა და კონტროლის“ სილაბუსში რამდენჯერმე მითითებულია ის კანონი, რომელიც ამჟამად ძალადაკარგულია. 2018 წელს კონსტიტუციის ცვლილებებთან ერთად შევიდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, შესაბამისად მათი გათვალისწინება პროგრამის ფარგლებში აუცილებელია.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია არჩევითი კურსები, რომელშიც შედის „სამართლის ფილოსოფია“ და დაინტერესდა, თუ რატომ ისწავლება „სამართლის ფილოსოფია“, როცა სტუდენტები არ სწავლობენ ზოგად ფილოსოფიას?

საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია „ფსიქოლოგიისა“ და „რუსული ენის“ სწავლების აუცილებლობა. ამასთან „რუსული ენა“ დაყოფილია ოთხ დონედ და მას კითხულობს მხოლოდ ორი ადამიანი. გარდა ამისა პროგრამაში მოცემულია ინგლისური ენა, ოთხ დონედ და ასევე „დარგობრივი ინგლისური ენა“.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ექსპერტების მიერ 2.4 კომპონენტთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციაზე და განმარტა, რომ რეკომენდაციის მიხედვით სამართლის პროგრამაზე ფიქსირდება სტუდენტების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. ამავე დროს დასკვნაში მოცემულია რჩევა 4.3 კომპონენტთან მიმართებით და წერია, რომ სასურველია დაწესებულების მიერ მოხდეს სტუდენტების სრული ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა ასევე გამოყო ხელშეკრულებების საკითხი, კერძოდ „ა“ და „ბ“ ხელშეკრულებები და დაწესებულებას მოუწოდა, გაეკეთებინა უფრო დეტალური განმარტება ამ ორი სახის ხელშეკრულებას შორის განსხვავების თაობაზე. საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით და მოუწოდა დაწესებულებას განმარტების გაკეთებისკენ.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ გამოყო ინტერნაციონალიზაციის საკითხი და აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს 4 ხელშეკრულება სხვადასხვა უცხოურ ინსტიტუციასთან, თუმცა საბჭოს წევრი დაინტერესდა იმპლემენტაციის საკითხთან დაკავშირებით, თუ რა შედეგი მოიტანა მოცემულმა ხელშეკრულებებმა?

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კვლევა ჩატარებულია ორგანიზაცია ანოვას მიერ, რომელსაც ამ კუთხით აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება. 16 ორგანიზაციის როგორც მენეჯმენტი ასევე ადამიანური რესურსების წარმომადგენლები იყვნენ გამოკითხულნი, შესაბამისად, კვლევა ნამდვილად ვალიდურია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ბიუჯეტში არსებული ტექნიკური ხარვეზები და აღნიშნა, რომ მათი გამოსწორება აუცილებლად მოხდება.

თამარ ტუფინაშვილმა ასევე ისაუბრა სტუდენტების კვლევასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ამგვარი სტატისტიკა გამოწვეულია როგორც პიარის ნაკლებობით, ასევე სამართლის პროგრამაზე არსებული სწავლის საფასურით. დაწესებულებამ სამართლის პროგრამაზე სწავლების საფასური ამჟამად შეამცირა, შესაბამისად სავსებით შესაძლებელია რომ ჩარიცხულთა რაოდენობა გაიზარდოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა 2.2. კომპონენტთან არსებული უზუსტობა და აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პოზიციის მე-4 გვერდზე მოცემულია დაწესებულების დეტალური პასუხი 2.2. კომპონენტთან არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციაში მოცემულია სასწავლო კურსების ხელმძღვანელთა შეხედულება ამა თუ იმ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ასევე ნათლად არის ასახული თუ რომელ რეკომენდაციებს ეთანხმება დაწესებულება და რომლებს არა.

ძალადაკარგულ ნორმატიულ აქტთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლოა სილაბუსში იკვეთებოდეს ტექნიკური ხარვეზი, თუმცა აუცილებლად მოხდება მისი გადამოწმება და აღმოფხვრა. საყურადღებოა, რომ პროგრამის ფარგლებში მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი, რაც ასევე გულისხმობს ძალადაკარგული აქტების სილაბუსებიდან ამოღებას და მათ განახლებას.

„ფსიქოლოგიისა“ და „რუსული ენის“ სასწავლო კურსებთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ბაზრის კვლევამ დაადასტურა, რომ ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ სასწავლო კურსების სწავლება, თუმცა აღნიშნული საგნები მიეკუთვნება

თავისუფალ-არჩევით კომპონენტს, რომელშიც განსაზღვრულია 20 კრედიტი. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს მოცემული 20 კრედიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსები, ასევე სხვა პროგრამის სასწავლო კურსები, ან აირჩიოს უშუალოდ სამართლის მიმართულების საგნები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დაადასტურა, რომ დაწესებულებაში სტუდენტთა ჩართულობა მაღალი არ არის. დაწესებულებაში ფუნქციონირებს კლუბები, ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო კონფერენცია, რის შემდეგაც წარდგენილი ნაშრომები იბეჭდება ბროშურების სახით. ბაზრის გამოყენებასთან დაკავშირებით მუდმივად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები.

რაც შეეხება „ა“ და „ბ“ ტიპის ხელშეკრულებებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ა“ ტიპის ხელშეკრულება განკუთვნილია აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის და არის 12 თვიანი, ხოლო „ბ“ ტიპის, განსხვავებული საათობრივი ანაზღაურებით იმ აკადემიური პერსონალისთვის, რომელიც არ არის აფილირებული.

საერთაშორისო კვლევით პროექტებში პერსონალის მონაწილეობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით დაწესებულება საჭიროებს დახვეწასა და განვითარებას. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ინსტიტუციებთან ხელშეკრულების გაფორმების ეტაპი უკვე დაწყებულია.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ სტრუქტურაში გათვალისწინებულია იმიტირებული პროცესი, რომელიც სამივე მოდულში გამოიყენება, თუმცა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს მხოლოდ ერთი იმიტირებული პროცესი. მოდულში შემავალი თითოეული სალექციო კურსი ატარებს თეორიულ ხასიათს, შესაბამისად რამდენად რელევანტური შეიძლება იყო საბაკალავრო პროგრამაში მხოლოდ 5 კრედიტში პრაქტიკული ნაწილის განსაზღვრა, მაშინ როცა აღნიშნული პირდაპირ კავშირშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, კერძოდ მესამე უნართან, რომელსაც წარმოადგენს პასუხისმგებლობა? საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით და მოუწოდა დაწესებულებას გაეკეთებინა განმარტება საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით, 2018 წელს დაწესებულებაში ჩატარდა გარე შეფასება მოწვეული ექსპერტის მიერ, რომელმაც გააკეთა ინსტიტუციური შეფასება და მოუწოდა დაწესებულებას განმარტების გაკეთებისკენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამართლის დარგობრივი მახასიათებელი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც შეიძლება იყო ჩაშენებული სასწავლო კურსებში ან იყოს მოცემული დამოუკიდებელი სასწავლო კურსების სახით. დასკვნაში ექსპერტებს დეტალურად აქვთ ჩამოთვლილი ყველა ის სასწავლო კურსი სადაც არის ჩაშენებული პრაქტიკული ნაწილი. რაც შეეხება დამატებით პრაქტიკულ კურსს „იმიტირებული სასამართლო პროცესი“, აღნიშნული წარმოადგენს არჩევით სავალდებულო კურსს, სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს სამართლის მიმართულება, რომელიც მას აინტერესებს თუმცა, ექსპერტების რჩევის მიხედვით, მნიშვნელოვანია სამივე მიმართულების იმიტირებული პროცესის გავლა იყოს სტუდენტისთვის სავალდებულო, რაზეც დაწესებულება აუცილებლად განაგრძობს მსჯელობას. რაც შეეხება სააკრედიტაციო დოკუმენტაციას, დაწესებულების ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილი აქვს აკრედიტაციის საბჭოზე.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასევე ისაუბრა პროგრამის გარე შეფასებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ 2018 წელს მოხდა უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასება, მაშინ როდესაც დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, თამარ სადრამემ, ისაუბრა იმიტირებულ პროცესებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ნაწილი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, შესაბამისად იმიტირებულ პროცესამდე სტუდენტები გაუთვითცნობიერებლად არ მიდიან და მათთვის აღნიშნული არ წარმოადგენს სიახლეს. უნივერსიტეტის მიდგომა, იმიტირებული პროცესის მოდულის არჩევასთან დაკავშირებით გამომდინარეობდა იქიდან, რომ არ შესუსტებულიყო სტუდენტთა ინტერესი. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, დაწესებულება აუცილებლად განაგრძობს მსჯელობას საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია სტუდენტს ჰქონდეს არჩევანი, რადგან პროცესები თეორიულად ცალ-ცალკე ისწავლება, თუმცა საინტერესოა თუ რატომ არის შეთავაზებული მხოლოდ 3 იმიტირებული პროცესი, მაშინ როდესაც პროგრამის ფარგლებში ისწავლება ასევე „საკონსტიტუციო სამართალწარმოება და კონტროლი“. გარდა ამისა, დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, აუცილებელია ყურადღება ასევე გამახვილდეს

კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაზე იმ დოზებით რა დოზითაც ისწავლება სამართლის სხვა ნებისმიერი მიმართულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა სრულად მორგებულია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და დარგობრივ მახასიათებელს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა გამოყო საბაკალავრო ნაშრომის საკითხი და დაინტერესდა თუ როგორ მიმდინარეობს მასთან დაკავშირებული სამუშაო პროცესი? მოცემული კითხვა გამომდინარეობს იქიდან, რომ სილაბუსში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ დაცვის პროცესისა და ნაშრომის გაფორმების შესახებ, თუმცა არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია სტუდენტისა და ხელმძღვანელის ურთიერთობასთან დაკავშირებით. გარდა აღნიშნულისა, სილაბუსის სწავლების მეთოდებში მოცემულია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ აღნიშნულია, რომ საბაკალავრო ნაშრომის მეთოდი არის ტურიზმში მიმდინარე პროცესების ანალიზი თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის დებულება, რომელშიც მთლიანი პროცესი დეტალურად არის გაწერილი და ყველა მიმართულება მას ერგება. რაც შეეხება ტექნიკურ ხარვეზს, აღნიშნული აუცილებლად იქნება აღმოფხვრილი. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესს, აღნიშნული წარმოადგენს სავალდებულო კომპონენტს, რომელიც ფასდება ორ ეტაპად. პირველი არის ხელმძღვანელის დადებითი დასკვნა, რეცენზენტის შეფასება 60 ქულის ფარგლებში, საიდანაც გამსვლელი ქულა არის 31, ხოლო შემდეგ ეტაპზე ნაშრომის წარდგენა შესაბამისი დარგობრივი კომისიის წინაშე. სტუდენტი ნაშრომის თემატიკას არჩევს პედაგოგთან შეთანხმებით, რის შემდეგაც მთელი სემესტრის განმავლობაში ინიშნება საკონსულტაციო საათები კვირაში ორჯერ, ან საჭიროების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ რჩევის სახით აღნიშნა, რომ ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით დაბალი ჩართულობის აღმოფხვრის მიზნით მნიშვნელოვანი იქნება თუ სასწავლო კურსის ხელმძღვანელი სტუდენტებს განუსაზღვრავს ისეთ დავალებას რომლის შესრულებაც შეუძლებელი იქნება დაწესებულებაში არსებული სამეცნიერო ბაზების გამოყენების გარეშე.

15:40 საბჭოს სხდომა დატოვა- დავით კაპანაძემ სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:25

დასრულების დრო: 15:46

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსის ქულას;
2. რეკომენდირებულია დაზუსტდეს მთელი რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები (სასწავლო კურსების ჩამონათვალი იხ. დანართი №2-ში);
3. რეკომენდირებულია უსდ-მ გადახედოს ყოველკვირეული სალექციო საათების მოცულობას, სასწავლო კურსი სსპეციფიკის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
4. რეკომენდირებულია უსდ-მ გააუმჯობესოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება;
5. რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
6. საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში მითითებულია ძალადაკარგული ნორმატიული აქტი, რომელიც აუცილებლად საჭიროებს განახლებას, შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურის სილაბუსებიდან ამიღებული იქნეს საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“.

გადაწყვეტილება:

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი, პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: შპს- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი LAW

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№312, 09.08.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი (Master of Laws (LLM))
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421 Law
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. №25, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 21-22 დეკემბერს. ინტერვიუების პროცესი მიმდინარეობდა დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა Zoom) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში. 21 დეკემბერს პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები. ვიზიტის მომდევნო პანელი დაეთმო შეხვედრას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან. იმავე დღეს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ონლაინ რეჟიმში, ასევე გაიმართა შეხვედრა პროგრამის დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან. სხვა ყველა შეხვედრა გაიმართა 22 დეკემბერს პროგრამის ხელმძღვანელთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დამოუკიდებელ პანელებში. პროგრამის სტუდენტებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის ბოლოს 22 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1.2. კომპონენტთან მიმართებით

რეკომენდებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსის ქულა. უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უნდა აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე ფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.

2.1. კომპონენტთან მიმართებით

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების გამჭვირვალობის მიზნით, რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ფორმა, შინაარსი და პროცედურა ანუ ის მოთხოვნები და კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შეარჩევს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირს.

2.4. კომპონენტთან მიმართებით

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების აქტივობის მაჩვენებელი სამეცნიერო-კვლევით პროექტებში დაბალია. რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება.

3.2. კომპონენტთან მიმართებით

რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომები რეალურად იყოს ორიენტირებული სამეცნიერო სიახლეზე, არსებული ცოდნის გაფართოებასა და ახალი ცოდნის შექმნაზე, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზზე, სინთეზისა და შეფასებაზე. განსაკუთრებით უნდა გამკაცრდეს დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია სპეციალური პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება ხდება.

4.2 კომპონენტთან მიმართებით

გამლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

5.2. კომპონენტთან მიმართებით

რეკომენდირებულია, რომ აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ისაუბრა 2.1 კომპონენტთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაში მითითებულია პროგრამაზე მიღების წინაპირობა, რომლის თანხმად, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების შედეგების საფუძველზე. გამოცდა გულისხმობს როგორც სპეციალობის გამოცდას, ასევე გამოცდას ინგლისურ ენაში. ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელ შესაბამის სერტიფიკატს. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სკოლის საბჭოს მიერ დამტკიცებული საგამოცდო საკითხები თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გარდა აღნიშნულისა, ტარდება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მაგისტრანტობის კანდიდატებთან, სადაც მათ დაწვრილებით განემარტებათ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების

ფორმასთან, შეფასების კრიტერიუმთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებული საკითხები. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მოცემულია უნივერსიტეტის „სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წესში“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ ისაუბრა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით და დაინტერესდა სტუდენტებთან გასაუბრების დროს ჰქონდათ თუ არა მათ ინფორმაცია წინაპირობებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა იკითხა, გაეცნენ თუ არა ექსპერტები სამეცნიერო ბაზების გამოყენების დინამიკას და იზრდება თუ არა სტუდენტებში სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკა?

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა 5.2 კომპონენტთან დაკავშირებით არსებული რეკომენდაციით და აღნიშნა, რომ თვითშეფასებაში ექსპერტთა დასკვნის მიხედვით არ არის მოცემული რეკომენდაციები, რაც შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ანგარიშის სახით. ის რეკომენდაციები რომლებიც გაცემული იყო წინა აკრედიტაციაზე, ექსპერტთა შეფასებით სავარაუდოდ გათვალისწინებულია და აქედან გამომდინარეობს 5.2 კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია. საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ. გარდა ამისა აღსანიშნავია 3.2 კომპონენტი, სადაც საუბარია, რომ უნივერსიტეტს აქვს უნიფიცირებული როგორც მიღების წინაპირობები ასევე, პლაგიატის პროგრამა. რეკომენდაციაში მოცემულია, რომ პლაგიატის პროგრამა საჭიროებს გამკაცრებას, თუმცა თუ არსებობს პლაგიატის წინააღმდეგ მექანიზმები, აღნიშნული რეკომენდაცია საჭიროებს განმარტებას.

საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ გამოყო სასწავლო გეგმის საკითხი და აღნიშნა, რომ მიზნებშიც და შედეგებშიც ხშირად ხდება აპელირება რომ კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის მიმართულებით მოდულების სახით მაგისტრანტი მიიღებს მყარ და საფუძვლიან ცოდნას. პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ ძალიან დიდი შრომა არის გაწეული მოდულების შემუშავების კუთხით, კერძოდ აღნიშნული მოიცავს 150 კრედიტს, თუმცა სასწავლო გეგმაში არის დათქმა, რომ ამ მოდულებიდან სტუდენტებისთვის შეთავაზებულია მხოლოდ 18 კრედიტი, ხოლო სხვა პროგრამიდან სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აიღონ 6 კრედიტი. მაშინ როცა პროგრამაში გათვალისწინებულია საკმაოდ საინტერესო არჩევითი მოდულები, შესაბამისად, სადავოა, მათგან მხოლოდ 18 კრედიტის მიცემა რამდენად უზრუნველყოფს სტუდენტისთვის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის მიცემას ფართო გაგებით.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის მსგავსად, სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთ სილაბუსშიც მოცემულია ძალადაკარგული ნორმატიული აქტი, რომელიც აუცილებლად საჭიროებს განახლებასა და გამოსწორებას.

საბჭოს წევრმა ასევე კითხვით მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, 3.2 კომპონენტთან მიმართებით გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია, რომ სამაგისტრო ნაშრომები რეალურად იყოს ორიენტირებული სამეცნიერო სიახლეებზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა იყო აღნიშნული რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძველი?

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ რადგან საუბარია მაგისტრატურის საფეხურზე და შესაბამისად, კვლევით კომპონენტს მეტი ყურადღება ეთმობა, რამდენად სწორი იყო „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ ერთ სასწავლო კურსად შეთავაზება? საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული სასწავლო კურსის არსებობა ერთგვარ სტანდარტს წარმოადგენს უნივერსიტეტში და სხვა პროგრამებზეც მსგავსად ხორციელდება, თუ რატომ გახდა საჭიროება იმისა რომ აღნიშნული საკითხები ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში ყოფილიყო განხილული?

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ ასევე ისაუბრა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების სილაბუსზე და აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ აღნიშნული საკითხების გაერთიანება არ არის

მისაღები, პირველი კვირის თემატიკაში ძირითადად განხილულია ზოგადი პრინციპები, შეფასების სისტემის განხილვას მე-3 კვირა ეთმობა. სილაბუსის მიხედვით მეთოდური საკითხებისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ ორი სალექციო თემატიკა, რაც არ ხდის სასწავლო კურსს შედეგზე ორიენტირებულს. გარდა ამისა, „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსში პლაგიატის შემოწმების მექანიზმების არ არის მოცემული. ასევე ბუნდოვანია ის საკითხი, რომ როდესაც რეცენზენტი დაწერს რეცენზიას, როგორ ხდება აღნიშნულის ასახვა ქულობრივ სისტემაში, რადგან შეფასებებში მოცემულია საერთო შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „პროფესიული ინგლისური B2“-ის სილაბუსში არ არის მოცემული აღნიშნული სასწავლო კურსის წინაპირობა. გარდა ამისა, დასკვნაში წერია, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გასათვალისწინებელია ენობრივი ბარიერი, რაც ზღუდავს სტუდენტის შესაძლებლობას უცხოენოვან წყაროებს გაეცნოს დედანში და აქტიურად გამოიყენონ ისინი კვლევის პროცესში. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ უცხო ენა ინგლისური B2 არის სავალდებულო და თუ ისწავლება პროფესიულ დონეზე, მაშინ რატომ არ შეუძლიათ სტუდენტებს აქტიურად გაეცნონ და გამოიყენონ უცხოენოვანი ლიტერატურა?

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ისაუბრა პროგრამაზე დასაშვებობის საკითხზე და აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე ძირითადად სწავლობენ უნივერსიტეტის ბაკალავრატის საფეხურის კურსდამთავრებულები, შესაბამისად, მათთვის მიღების წინაპირობები არ არის უცხო. აღნიშნულთან დაკავშირებით, სტუდენტები არიან ინფორმირებულები და მიიჩნევენ, რომ მოცემული წინაპირობები მათ ინტერესებზეა მორგებული.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ასევე ყურადღება გაამახვილა კვლევით კომპონენტზე, კერძოდ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია სამეცნიერო ბაზები მაქსიმალურად ინტეგრირდეს სასწავლო პროცესსა და კვლევით კომპონენტში. ექსპერტების მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ბაზებთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ განხორციელებული სტატისტიკის შესახებ. ბაზებზე წვდომა საფაკულტეტო მიმართულებებით არის ერთიანი და შესაბამისად, არ ხდება დივერსიფიცირება ფაკულტეტების მიხედვით. სტატისტიკის მიხედვით შეუძლებელია იმის იდენტიფიცირება, თუ რომლი ბაზა იქნა გამოყენებული და რა სიხშირით. აქედან გამომდინარე, ექსპერტები დაეყრდნენ უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომებს, სადაც უცხოური აუცილებლად გამოსაყენებელი წყაროების სიმცირე აღინიშნებოდა. ბაზების გამოყენების ინსტრუქციასთან დაკავშირებით, სტუდენტები არ იყვნენ სრულად ინფორმირებულნი, შესაბამისად, აღნიშნული წარმომადგენელმა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის საფუძველს. რაც შეეხება უშუალოდ ნაშრომებს, მათი გადახედვის პროცესში, გამოიკვეთა რიგი ნაკლოვანებები, რაც ბუნებრივად გულისხმობს იმას, რომ მნიშვნელოვანია პროგრამის ამ კუთხით დახვეწა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა 5.2 კომპონენტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ექსპერტები საჭიროებენ გარკვეულ ინფორმაციას რათა შეაფასონ, თუ რამდენად რეალურია გარე შეფასება. კანონმდებლობით, ექსპერტებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება პირდაპირ გამოითხოვონ ძველი დოკუმენტაცია, სწორედ აქედან გამომდინარე მოხდა მოცემული რეკომენდაციის განსაზღვრა. უმჯობესი იქნება, 5.2 კომპონენტთან დაკავშირებული საკითხები მუდმივად იყოს ასახული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით ინფორმაცია არის გამჭვირვალე და მისი განთავსება მუდმივად ხდება დაწესებულების ვებ-გვერდზე.

რაც შეეხება პლაგიატის საკითხს, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აღნიშნული წარმომადგენელს კვლევით კომპონენტს, რომლის შეფასებაც

ხდება ერთჯერადად, შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მხოლოდ საჯარო დაცვაზე დარგობრივი კომისიის მიერ. იმისათვის, რომ ნაშრომი დაშვებული იყოს დაცვაზე, მას თან უნდა ახლდეს ხელმძღვანელის დადებითი დასკვნა, ანტიპლაგიატის დადებითი დასკვნა და ასევე რეცენზენტის დადებითი დასკვნა. რეცენზენტის მიერ არ ხდება ქულობრივი შეფასების გაკეთება. ამის შემდეგ კი სტუდენტი გადის დაცვაზე, სადაც ფასდება 100 ქულის ფარგლებში. დაწესებულებაში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა პლაგიატის საკითხს. უნივერსიტეტმა 2018 წელს შეიძინა პროგრამა, შესაბამისად, ნებისმერი სამაგისტრო, სადოქტორო თუ სამეცნიერო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა „აკადემიური წერისა და კვლევითი მეთოდების“ სილაბუსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიური წერის სწავლება სხვადასხვა უნივერსიტეტებში ბაკალავრის დონეზე არის არაერთგვაროვანი, შესაბამისად მოხდა ამ კომპონენტის კვლევის მეთოდებთან ერთად განხილვა. აუცილებელია, რომ სამაგისტრო საფეხურზე სწავლების განმავლობაში სტუდენტმა აუცილებლად უნდა შეიძინოს კვლევის უნარები.

რაც შეეხება სასწავლო კურსებსა და კრედიტებს, ძირითადი სასწავლო კურსებისთვის გათვალისწინებულია 48 კრედიტი, პრაქტიკა მოიცავს 18 კრედიტს, არჩევითი საგნები კი 24 კრედიტს, საიდანაც 6 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება აიღოს სხვა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის გავლის შედეგად. ხოლო საბოლოო, 30 კრედიტი გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამას დაემატა არაერთი სასწავლო კურსი, რომელიც სამივე მოდულისთვის არის შესაბამისი, მაგალითად როგორცაა „სამოსამართლო სამართალი“. გარდა ამისა პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება სამაგისტრო ნაშრომების დახვეწა და მათი როგორც უცხოური ასევე ქართული წყაროებითა და ლიტერატურით გამდიდრება. რაც შეეხება სილაბუსში ძალადაკარგული კანონის მითითებას, აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც აუცილებლად იქნება გამოსწორებული.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა მოუწოდა ექსპერტებს 3.2 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის საფუძვლების განმარტებისკენ. გარდა ამისა, რადგან აღნიშნულ კომპონენტში გაცემულია რეკომენდაცია, მაშინ ის ვერ იქნება გასაზღვრული როგორც შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტებთან, შესაბამისად დაინტერესდა, ხომ არ იკვეთება ამ საკითხთან მიმართებით ტექნიკური ხარვეზი?

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ყველა ნაშრომის გადახედვა და გამოიკვეთა საერთო პრობლემატიკა, კერძოდ, სამეცნიერო წყაროების გამოყენების კოეფიციენტი აღმოჩნდა საკმაოდ დაბალი, რაც სწავლის შედეგებთან მიმართებით პრობლემას არ ქმნის, თუმცა საჭიროებს დახვეწას. რაც შეეხება კომპონენტის შეფასებას, ექსპერტმა დაადასტურა, რომ სახეზეა ტექნიკური ხარვეზი, აღნიშნული უნდა იყოს მეტწილად შესაბამისი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:46

დასრულების დრო: 16:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ექსპერტთა მიერ შედგენილ დასკვნაში გასწორდა ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, აკრედიტაციის დებულების 26¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 3.2 კომპონენტი ნაცვლად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსის ქულა;
2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების გამჭვირვალობის მიზნით, რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ფორმა, შინაარსი და პროცედურა ანუ ის მოთხოვნები და კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შეარჩევს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირს;
3. რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება;
4. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომები რეალურად იყოს ორიენტირებული სამეცნიერო სიახლეზე, არსებული ცოდნის გაფართოებასა და ახალი ცოდნის შექმნაზე, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზზე, სინთეზისა და შეფასებაზე. განსაკუთრებით უნდა გამკაცრდეს დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ;
5. გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
6. რეკომენდირებულია, რომ აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში
7. სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში მითითებულია ძალადაკარგული ნორმატიული აქტი, რომელიც აუცილებლად საჭიროებს განახლებას, შესაბამისად, სამაგისტრო საფეხურის სილაბუსებიდან ამიღებული იქნეს საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის,, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით.

16:05 საბჭოს სხდომას შეუერთდა - დავითკაპანაძე

3. მესამე საკითხი: შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუ-ს „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია Psychology
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	წინანდლის ქუჩა №9, თბილისი, 0144, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა- ანა ფირცხალაშვილმა

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო პროგრამის „კლინიკური ფსიქოლოგია“ შეფასება 2020 წლის 16 დეკემბერს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა. აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუს (შემდგომში - სეუ) სამაგისტრო პროგრამა მიმართულია ფსიქიკური ჯანმრთელობის სიღრმისეული ცოდნით აღჭურვილი კლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, ჰოლისტურ პრინციპებსა და ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე დაყრდნობით, განახორციელებენ კლინიკურ ინტერვენციასა და ფსიქოლოგიური კონსულტირების პროცესს. 120 კრედიტიანი პროგრამა შედგება (ა) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისგან (72 კრედიტი); (ბ) სპეციალობის არჩევითი კურსებისგან (12 კრედიტი), (გ) პრაქტიკის კომპონენტისგან (12 კრედიტი) და (დ) სამაგისტრო ნაშრომისგან (24 კრედიტი).

შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

1.2. კომპონენტთან მიმართებით

1. სწავლის შედეგებში ნათლად გაიწეროს, რა ეცოდინებათ/შეეძლებათ სტუდენტებს კონკრეტული მიდგომის (კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპიის) მიმართულებით. მართალია, შედეგებში აღწერილია კონკრეტული კომპეტენციები, თუმცა არსად არის მითითებული, რომელი მიმართულების ფარგლებში შეძლებენ აღნიშნულის განხორციელებას;

2. პროგრამაში ჩართული სავალდებულო/არჩევითი კურსების ისეთი კომბინაციის შეთავაზება, რომ ზუსტად იმ სწავლის შედეგებზე გავიდეს სტუდენტი, რომელსაც პროგრამა უსახავს.

2.2. კომპონენტთან მიმართებით

1. პროგრამის სტრუქტურა გადასინჯვა და სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსების სტატუსის მოდიფიკაცია. სავალდებულო კურსების ჩამონათვალში მხოლოდ იმ კურსების გაერთიანება, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების (იქნება ეს კვლევა, პრაქტიკა თუ ტრანსფერული უნარები) მისაღწევად, ხოლო დანარჩენი, უფრო ვიწროდ სპეციფიკური და სიღრმისეული კურსების არჩევითი საგნების ბლოკში გაერთიანება;

2. პროგრამის სავალდებულო კურსების იმგვარი კომბინაციის შეთავაზება სტუდენტისთვის, რომ მან შეძლოს კონკრეტული (პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებების შესაბამისად) მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენა, ან ეკლექტური მიდგომით მუშაობისთვის საკმარისი კომპეტენციების შეძენა;

3. გადაიხედოს ზოგიერთი კურსის მოცულობა და დაიგეგმოს თითოეული კურსისთვის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა.

2.3. კომპონენტთან მიმართებით

1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით. კურსი წარმოდგენილია პროგრამაში სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. მიუხედავად დასახელებისა, შინაარსის შესწავლა აჩვენებს, რომ კურსის ფარგლებში არც ერთი საკითხი არ ეხება რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს და SPSS-ის სწავლებაზე ახდენს ფოკუსირებას, შესაბამისად, სათაური არ შეესაბამება წარმოდგენილი კურსის შინაარსს. კურსი, სილაბუსის მიხედვით, SPSS-ის გარემოში მონაცემების დამუშავების გზების სწავლებას ისახავს მიზნად, თუმცა თუ დეტალურად განვიხილავთ ჩამოთვლილ საკითხებს, ვნახავთ, რომ პირველი ცხრა კვირის განმავლობაში შეთავაზებული ყველა საკითხი და ნაწილობრივ X-XI კვირების მასალაც არ შეესაბამება სამაგისტრო სწავლების დონეს და მოიცავს იმ ცოდნას, რომელსაც ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტი ბაკალავრიატზე სწავლის პერიოდში იღებს სტატისტიკის სავალდებულო კურსის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია: (1) შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან კურსის დასახელება და შინაარსი; (2) კურსის შინაარსი მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს სამაგისტრო სწავლების დონეს. მაგალითად, ისეთი საკითხები, როგორცაა აღწერილი სტატისტიკის ელემენტები, კვლევის ჰიპოთეზა, წერტილთა გაბნების დიაგრამები და ხი-კვადრატის გამოთვლა (სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად), არ უნდა იყოს წარმოდგენილი სამაგისტრო დონეზე შეთავაზებულ სტატისტიკის კურსში, ვინაიდან ეს ის ბაზისური ცოდნაა, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა იძლევა;

2. თვისებრივი კვლევის მეთოდები. კურსი შეთავაზებულია არჩევითი კურსების ჩამონათვალში მაშინ, როდესაც რაოდენობრივი მეთოდები სავალდებულო ბლოკში გვხვდება. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა კლინიკური ფსიქოლოგების მომზადებას ისახავს მიზნად, რომლებსაც კონკრეტულ შემთხვევებთან მოუწევთ მუშაობს (განურჩევლად იმისა, ეს შემთხვევა ერთი ინდივიდი, ჯგუფი თუ თემი იქნება), თვისებრივი კვლევის მეთოდებისა და ამგვარად მიღებული მონაცემების დამუშავების უნარების ქონა არსებით მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, წარმოდგენილი კურსი ერთ-ერთი ძირითადი დისციპლინაა, რომელმაც საფუძველი უნდა შეუქმნას კურსდამთავრებულის კვლევით კომპეტენციებს. ამიტომ თვისებრივი კვლევის მეთოდების კურსის სილაბუსი, ფაქტობრივად, ხელახლა უნდა დაიწეროს. უფრო კონკრეტულად, რეკომენდებულია: (1) წარმოდგენილ კურსს უძღვებოდეს ის აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია გააჩნია კვლევის, კერძოდ, თვისებრივი კვლევის მიმართულებით; (2) კურსის შინაარსი შეესაბამებოდეს დასახელებას, მოიცავდეს თვისებრივ კვლევაში გამოსადეგ მეთოდებს და არ მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად „სტატისტიკური კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში“ (კვირა I);

3. პოზიტიური და ტრანსკულტურალური მიმართულების ფსიქოკონსულტირება სამკრედიტიანი არჩევითი კურსის სახით არის შეთავაზებული წარმოდგენილ პროგრამაში. კურსის შინაარსის შესწავლა აჩვენებს, რომ ტრანსკულტურალური მიმართულება მხოლოდ ერთ თემას შეადგენს და დანარჩენი კურსი პოზიტიური ფსიქოკონსულტირებას ეთმობა. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კურსისთვის შინაარსის შესატყვისი სახელწოდების შერჩევა;

4. კვლევის მეთოდებში არჩევითი კურსები. კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ვიწრო კლინიკური სპეფიციკიდან გამომდინარე, სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მოუწევთ კვლევის ამა თუ იმ თვისებრივი მეთოდის გამოყენება, რომელიც სხვებზე მეტად ახლოს დგას და შეესაბამება კლინიკური ფსიქოლოგიის საქმიანობას, როგორებიცაა, მაგალითად, ვიზუალური ანალიზი, ნარატივის ანალიზი, ფსიქობიოგრაფიული კვლევა/შემთხვევის შესწავლა, თემატური აპერცეფციის ტესტი, რორშახის მელნის ლაქები და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში შეთავაზებულია ზოგიერთი ამ მეთოდთაგანი სხვა კურსის ფარგლებში (ზედაპირული, მიმოხილვითი ფორმატით მხოლოდ), რეკომენდებულია არჩევითი საგნების ჩამონათვალში რამდენიმე ისეთი (სამკრედიტიანი) კურსის დამატება, რომელიც მიმართული იქნება ცალკეული მეთოდის სიღრმისეულად, პრაქტიკულად ათვისებაზე და გამოადგებათ სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას;

5. მონაცემთა ანალიზი. წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება მოუწევთ. ამისათვის პროგრამაში ფორმალურად არის გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის სწავლება (ერთი კურსის ფარგლებში), თუმცა აღნიშული კურსი არ არის საკმარისი სწავლის შედეგებში დეკლარირებული კვლევითი კომპეტენციის მისაღწევად. ვინაიდან სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მოუწევთ რაოდენობრივ (სტატისტიკური დამუშავება, SPSS) თუ თვისებრივ (კოდირება, სხვა ტიპის თვისებრივი ანალიზი, Nvivo) მონაცემებთან ურთიერთობა. შესაბამისად, რეკომენდებულია არჩევითი კურსის სახით მსგავსი კურსების შეთავაზება, რომელთაგან სტუდენტები თავიანთი სამაგისტრო ნაშრომიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ აირჩევენ სათანადო კურსს;

6. კურსების შინაარსობრივი დეტალები. ზოგიერთ სასწავლო კურსში თითოეული კვირისთვის განკუთვნილი თემატიკის აღწერა იმდენად მწირია, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა საკითხზე/აქტივობაზეა საუბარი. მაგალითად, კურსები „ფსიქოლოგიური ტრავმა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები“ (კვირა XII „მკურნალობა“, კვირა XV „ქეისების განხილვა“), „პოზიტიური და ტრანსკულტურალური მიმართულების ფსიქოკონსულტირება“ (კვირა IV „ბალანსის მოდელი და ცხოვრების ოთხი სფერო“, კვირა XIV

„ფსიქოდინამიკის სამი სტადია“). შესაბამისად, რეკომენდებულია მეტად ინფორმაციული სილაბუსების (როგორცაა, მაგალითად, კურსების „სამეცნიერო წერის“ და „პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში“ სილაბუსები) შეთავაზება სტუდენტებისთვის;

7. კურსების სათაურისა და შინაარსის შესაბამისობა. პროგრამის სავალდებულო საგნების ჩამონათვალში არის ისეთი კურსები, როგორცაა პრაქტიკა და სუპერვიზია ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში, პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში, პრაქტიკა ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში. ანალოგიური სახელწოდება აქვს კურსს პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში, რომელიც რეალურად წარმოადგენს პროფესიული პრაქტიკის კურსს და პრაქტიკის ობიექტზე ხორციელდება. ზემოთ ჩამოთვლილი კურსების შინაარსის შესწავლამ აჩვენა, რომ რეალურად ეს კურსები სასწავლო კურსების ჩაშენებული პრაქტიკის ელემენტებით და არა -- პრაქტიკის კურსი (იმ ფორმატით, რასაც პროფესიული პრაქტიკა გულისხმობს). აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კურსების სახელწოდებისა და შინაარსების ერთმანეთთან თანხმობაში მოყვანა.

2.4. კომპონენტთან მიმართებით

კვლევის კომპონენტის გაძლიერება კვლევის მეთოდების კურსების მოდიფიკაციითა და პროგრამაზე მეტად მორგებით და დამატებითი არჩევითი კურსების შეთავაზებით კვლევის მეთოდების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიას, როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას, პროგრამის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა, პროგრამა ზოგადად ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს. პროგრამის მე-2 მიზანი იმგავრად არის ფორმულირებული, რომ ღღმად და სისტემურად გააცნოს კლინიკური ფსიქოლოგიის და ფსიქოკონსულტირების სფეროში არსებული თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული მიდგომები. აქედან გამომდინარე სავალდებულო საგნებია: „თეორია და პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში“, „თეორია, პრაქტიკა და სუპერვიზია ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში“, ხოლო არჩევით საგნებად გათვალისწინებულია: „თეორია და პრაქტიკა გემტალტთერაპიაში“ და „პოზიტიური მიმართულებების ფსიქოკონსულტირება“.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2.3 სტანდრტთან მიმართებით არსებული რეკომენდაცია დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა, რის საფუძველზეც მოხდა სილაბუსის მოდიფიცირება, კერძოდ სალექციო კვირები დაიტვირთა რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით, რის შედეგადაც უფრო მეტად მოვიდა შესაბამისობაში ერთმანეთთან კურსის დასახელება და შინაარსი. სილაბუსი გათვლილა ისე, რომ სტუდენტს საშუალება ეძლევა გაეცნოს როგორც მეთოდებს, ასევე პარალელურად შეძლოს მონაცემების დამუშავება. შერჩევის კომპონენტის სწავლებაში ჩართვის შედეგადა სტუდენტები სწავლობენ თუ როგორ უნდა განახორციელონ შერჩევა, რათა სტუდენტების მიერ გაკეთებული კვლევა იყოს სანდო და გამოყენებადი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ საბჭოსთვის გამოგზავნილ დოკუმენტაციაში, „რაოდენობრივი კვლევის გამოყენების“ კურსი კვლავ არჩევითი სასწავლო კურსის სახით არის მოცემული, თვისობრივი კვლევა კი საერთოდ არ ჩანს, ისევე როგორც ზოგიერთი აკადემიური პერსონალის სივი.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ასევე აქვს „სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამა“ და შესაბამისად დაინტერესდა რამდენად მოხდა მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამების პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება, რადგან ნამდვილად გასაკვირია, რომ პროგრამა, რომელიც მოიცავს კვლევით კომპონენტებს ამდენად განიცდის მათ ნაკლებობას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „აკადემიური წერის“ სილაბუსში მოცემული ლიტერატურა ძირითადად განკუთვნილია საბაკალავრო სწავლებისთვის.

საყურადღებოა ასევე სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ნაწილი, კერძოდ პროგრამის მიხედვით ყოველი საგამოცდო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე, სადაც 85%-ზე ზემოთ ნაშრომი მიუღებელია, თუმცა საინტერესოა თუ რა მოიაზრება დარჩენილ 15 %-ში, უბრალოდ თანხვედრა რომელიც შეიძლება მოსახსნელი იყოს, თუ 15% დამზებულია არაციტირებული ტექსტი.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ კლინიკური ფსიქოლოგია საქართველოში საკმაოდ აქტუალურ და მოთხოვნად სფეროს წარმოადგენს. საბჭოს წევრმა ისაუბრა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ პროგრამის მიხედვით სტუდენტი, რომელსაც სურს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა, უნდა იყოს ან ფსიქოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული, ან კვალიფიცირებული ფსიქიატრი. თუმცა საინტერესოა თუ რატომ არ შეიძლება პროგრამაზე დაიშვან უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ კლინიკური ფსიქოლოგია დიდ კავშირშია კომუნიკაციასთან, თუმცა შეფასებები პროგრამაზე და სასწავლო კურსები არის ტრაფარეტული. მაშინ, როცა საგანი არის კლინიკური პროფილის და ამასთან ყურადღება ექცევა კომუნიკაციას, დღესდღეობით არსებობს ობიექტური შეფასების სისტემა, რომ დადგინდეს შეუძლია თუ არა სტუდენტს სათანადო კომუნიკაცია პაციენტთან.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, არსებობს თუ არა პროგრამის ფარგლებში ისეთი კომბინაცია, რომელიც ხელს უშლის სტუდენტს გავიდეს სწავლების შედეგებზე. იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად არსებობს მსგავსი კომბინაცია, სტანდარტი უნდა იყოს შეფასებული როგორც შეუსაბამო.

გარდა აღნიშნულისა, საბჭოს წევრმა გამოყო ბაზრის კვლევის საკითხი და ასევე ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებით, კერძოდ შემოსავალი წარმოადგენს ხარჯის ნახევარს, შესაბამისად საინტერესოა თუ რითი იფარება მეორე ნახევარი?

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ ისაუბრა პერსონალის მონაცემებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როგორც პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე აკადემიური პერსონალის ნაწილს, არ აქვს დოქტორის ხარისხი. სამაგისტრო პროგრამა მოითხოვს ძლიერ კვლევით კომპონენტს, თუმცა, თუ თავად აკადემიურ პერსონალს არ აქვს უფრო მაღალ დონეზე კვლევის წარმოების კომპეტენცია როგორ არის შესაძლებელი მაგისტრანტებისთვის შესაბამისი განათლების მიცემა?

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

პროგრამის ხელმძღვანელმა, განმარტა, რომ დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი იქნა ყველა სავალდებულო დოკუმენტი, სადაც მოცემულია რომ რაოდენობრივი კვლევა წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს, ხოლო თვისობრივი არჩევითს.

რაც შეეხება აკადემიური წერის საკითხს, პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია „სამეცნიერო წერის“ კურსი, რომელშიც განხილულია როგორც სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების საკითხები, ასევე კვლევითი კომპონენტები.

მნიშვნელოვანია ასევე განიმარტოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. დღევანდელ მოცემულობაში, ფსიქიატრს, ფსიქოთერაპიის უფლება არ აქვს. სტუდენტი, რომელიც დაამთავრებს ფსიქიატრიას, პროგრამის მიხედვით ეძლევა საშუალება, გააძლიეროს ფსიქოთერაპიის მიმართულება.

რაც შეეხება შეფასებებს, ჯგუფურ თერაპიასა და ფსიქოკონსულტირებას, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დემონსტრაცია. აღნიშნულ სასწავლო კურსებში განსაკუთრებით გაძლიერებულია პრაქტიკული კომპონენტი. თუმცა ამ კუთხით საბჭოს წევრთა რჩევები არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებო.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პლაგიატთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ 15% არის ის წილი რომელიც შეიძლება იყოს ციტირებული ნაშრომის ფარგლებში. აღნიშნული წარმოადგენს არა პლაგიატის, არამედ მითითებული ტექსტის 15%-ს. მოცემული პროცენტის აწევა კი გამოიწვევს კომპილაციას.

რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიუჯეტი მოცემულია 2 სასწავლო წლისთვის. შესაბამისად, მასში არსებული მონაცემები შეიძლება იწვევდეს გაუგებრობას. ბიუჯეტით განსაზღვრულია 2 წლის ხარჯი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძე აღნიშნა, რომ დაუშვებელია ბიუჯეტის მოცემული სახით წარდგენა, აღნიშნული წარმოადგენს ხარვეზს, რომელიც საჭიროებს გამოსწორებას. წლიური ბიუჯეტი არ შეიძლება იყოს ორი წლის მომავალი ხარჯი და ერთი წლის შემოსავალი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილს არ აქვს დოქტორის ხარისხი, დაწესებულებაში წარმოდგენილია 5 სპეციალისტი, რომლებსაც აქვთ დოქტორის ხარისხი. აქედან გამომდინარე, კვლევას უძღვებიან აღნიშნული სპეციალისტები. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მხოლოდ დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიურ პერსონალს აქვს უფლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრი, ნინო ჭალაგანიძე დაინტერესდა გულისხმობს თუ არა პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის ავტორს, რადგან პროგრამის ავტორს სჭირდება ის ცოდნა და უნარები რომელიც უნდა ჰქონდეს მაგისტრანტის ხელმძღვანელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ პრაქტიკოსი და თეორიტიკოსი ხელმძღვანელი ეყოლებოდა აღნიშნულ პროგრამას. შესაბამისად პროგრამას ასევე ჰყავს თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი. პროგრამის თანახელმძღვანელებს შორის გადანაწილებულია უფლებამოსილებები.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამაში და დაწესებულების მიერ წარდგენილ დოკუმენტებში არ იკითხება, რომ პროგრამას ჰყავს თანახელმძღვანელი.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააზუსტა პლაგიატის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაშრომში 85%-ს უნდა წარმოადგენდეს ორიგინალი ტექსტი. რაც შეეხება პლაგიატს აღნიშნული ნაშრომში დაუშვებელია 1%-იც კი. 15% შეიძლება იყო კომპილაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ ტექსტი მითითებებით და ციტირებით შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა თუ რა ტიპის ხარვეზი გახდა 4.1 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძველი, რა შეუთავსებლობა გამოიკვეთა პერსონალის კომპეტენციასა და წასაკითხ სასწავლო კურსებს შორის?

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ დააზუსტა თვითშეფასების ანგარიშში მოცემული პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო კვლევითი მაჩვენებლის საკითხი. მიუხედავად იმისა რომ პროგრამა ახალია, საყურადღებოა მასში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ჩართულობა ბოლო 5 წლის განმავლობაში, რომელიც არ არის მოცემული წარდგენილ დოკუმენტებში. თუ აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, მნიშვნელოვანია მისი დადასტურება დაწესებულების მიერ და შემდგომ გამოსწორება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამებში საკმაოდ ხშირად წარმოდგენილია პროგრამა განსხვავებული

სტრუქტურებით, თუმცა, პროგრამების უმეტესობაში აქცენტი კეთდება პროფესიული ეთიკის კომპონენტზე, რაც პროგრამაში სასწავლო კურსის სახით საერთოდ არ არის მოცემული. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა ინტეგრირებულია თუ არა ეთიკის საკითხები სხვადასხვა სასწავლო კურსებში, თუ საერთოდ არ არის გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში?

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აუცილებელია პროგრამას არჩევითი კურსების სახით დაემატოს თვისებრივი კვლევის კონკრეტული მეთოდების სწავლება, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ბევრი ისაუბრეს რაოდენობრივ კვლევასა და შედეგების განხილვაზე, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს თავად პროგრამის შინაარსსა და მიზნებზე. პროგრამის მიხედვით, თვისობრივი კვლევა საკმაოდ დიდი მნიშვნელობისაა, ამიტომ, მნიშვნელოვანია ერთი მხრივ ახალი სასწავლო კურსების შემოტანა, ხოლო მეორე მხრივ არსებული კურსების მოცულობის გაზრდა, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ პროგრამაში გათვალისწინებული რიგი კურსები, სადაც იმაზე მეტი კრედიტია განსაზღვრული, ვიდრე წარმოადგენს აუცილებლობა. გარდა ამისა, არის კურსები სადაც პრაქტიკის ნაცვლად მოცემულია თეორიისა და პრაქტიკის ნაზავი. რაც შეეხება პერსონალის საკითხს, აკადემიური პერსონალი ძირითადად შედგება პრაქტიკოსებისგან, რაც ერთი მხრივ კარგია, თუმცა მეორე მხრივ, არსებობს რისკები, რადგან პრაქტიკოსები ვერ უზრუნველყოფენ სტუდენტებს საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი ცოდნით. პერსონალის შესაბამისობა წარმოადგენს ზოგად პრობლემას კვლევის მეთოდების ნაწილისა, რადგან კვლევის კომპონენტი და მაგისტრატურის საფეხური საჭიროებს პერსონალს, რომელსაც შესაბამისო ცოდნა და გამოცდილება ექნება კვლევების მიმართულებით.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა თუ რა იყო საგნების ამგვარი გადალაგების საფუძველი, იყო ეს ადგილობრივი თუ საერთაშორისო პრაქტიკა?

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში მოწვეული აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად ორიენტირებულია მიაწოდოს საფუძვლიანი ცოდნა სტუდენტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე პროფესიული ეთიკის საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამაში ცალკე სასწავლო კურსის სახით არ არის მოცემული. სასწავლო კურსთან უმრავლესობა არის პრაქტიკული ხასიათის და შესაბამისად თითოეულ მათგანში პროფესიული ეთიკის საკითხებზე ყურადღება იქნება გამახვილებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა კვლევის პროდუქტიულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თვითმეფასების კითხვარში სავალდებულოდ არ არის მონიშნული ის, რომ უნდა მითითებულიყო ზუსტი რაოდენობა. პროგრამა არის ახალი, შესაბამისად, რადგან პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, არ იქნა მითითებული პროგრამის განმახორციელებელთა კვლევები. საბჭოზე წარმოდგენილია პერსონალის სივი, სადაც მოცემულია მათი პუბლიკაციები. დაწესებულება პირველ რიგში ორიენტირებულია კვლევის ხარისხზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა თეორიტიკოსებისა და პრაქტიკოსების თანაფარდობაზე. დაწესებულებას ჰყავს 11 აფილირებული პროფესორი, რომელიც ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. 11 პროფესორიდან 8-ს აქვს აკადემიური ხარისხი, შესაბამისად, არასწორია იმაზე აპელირება, რომ სამაგისტრო თემებს აუცილებლად უხელმძღვანელებენ პრაქტიკოსები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოხდა რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება და შესაბამისი ცვლილებების გატარება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ბიუჯეტი გათვალისწინებულია 120 კრედიტზე

და პროგრამის ხანგრძლივობად მითითებულია 2 წელი. პროგრამის ბიუჯეტში მოცემულია ისეთი ხარჯები, როგორცაა სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც ექვემდებარება სისტემატურ განახლებას, ასევე აკრედიტაციის თანხები, გათვალისწინებულია ასევე ინფრასტრუქტურული ხარჯები, რომელმაც საბოლოოდ შეადგინა პროგრამის ბიუჯეტი, რაც საჭიროებს საწყის ინვესტიციას. ბიუჯეტში ცალკე არის მითითებული ერთჯერადი ხარჯები. პროგრამის ბიუჯეტი სრულიად საკმარისია მისი სრულყოფილი განხორციელებისთვის. პროგრამას ბიუჯეტის მხრივ არ აქვს არანაირი პრობლემა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განმარტა, რომ პლაგიატის აღმომჩენი პროგრამები ხშირ შემთხვევაში აჩვენებს ზუსტ თანხედრას, თუმცა შესაძლოა სტუდენტმა ისე წარადგინოს მეორადი ნაშრომი, რომ საბოლოო ჯამში იყოს კომპილაციური. თუ დაწესებულებას აქვს მოთხოვნა იმისა, რომ ნაშრომი უნდა იყოს სრულად ორიგინალი, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მოთხოვნასა და კვლევითი მეთოდების საჭიროებას. კვლევის მეთოდების არსებულ სახელმძღვანელოში თემატიკა იმგვარად არის მოცემული, რომ ნამდვილად არის აქცენტი სტატისტიკაზე, ხოლო მეთოდების სწავლება ნაკლებად არის გათვალისწინებული. საბჭოს წევრმა ასევე გამოყო სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამის პრაქტიკა და დაინტერესდა მსგავსად არის თუ არა მოცემული კვლევითი კომპონენტი აღნიშნულ პროგრამაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტს შეუძლია წარმოადგინოს მთლიანად კომპილაცია, თუმცა კომპილაცია და პლაგიატი წარმოადგენს სხვადასხვა საკითხებს. 15% ციტირება ნაშრომის ფარგლებში არის დაშვებული, რადგან საჭიროა ტექსტი, რომელიც არ არის პლაგიატი და შესაბამისად სქოლიოებში დეტალურად არის მითითებული ინფორმაცია წყაროს შესახებ. პლაგიატი კი ნაშრომის ფარგლებში საერთოდ არ არის დასაშვები, იგი სრულიად აკრძალულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწყების დრო: 17:25

დასრულების დრო: 18:40

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ექსპერტთა მიერ შედგენილ დასკვნაში გასწორდა ტექნიკური

ხარვეზი და აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პირველი სტანდარტი ნაცვლად მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, შეფასდა როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება: კერძოდ, მე-4 სტანდარტი ნაცვლად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგებში ნათლად გაიწეროს, რა ეცოდინებათ/შეეძლებათ სტუდენტებს კონკრეტული მიდგომის (კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპიის) მიმართულებით. მართალია,

- შედეგებში აღწერილია კონკრეტული კომპეტენციები, თუმცა არსად არის მითითებული, რომელი მიმართულების ფარგლებში შეძლებენ აღნიშნულის განხორციელებას;
2. პროგრამაში ჩართული სავალდებულო/არჩევითი კურსების ისეთი კომბინაციის შეთავაზება, რომ ზუსტად იმ სწავლის შედეგებზე გავიდეს სტუდენტი, რომელსაც პროგრამა უსახავს;
 3. პროგრამის სტრუქტურა გადასინჯვა და სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსების სტატუსის მოდიფიკაცია. სავალდებულო კურსების ჩამონათვალში მხოლოდ იმ კურსების გაერთიანება, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების (იქნება ეს კვლევა, პრაქტიკა თუ ტრანსფერული უნარები) მისაღწევად, ხოლო დანარჩენი, უფრო ვიწროდ სპეციფიკური და სიღრმისეული კურსების არჩევითი საგნების ბლოკში გაერთიანება;
 4. პროგრამის სავალდებულო კურსების იმგვარი კომბინაციის შეთავაზება სტუდენტისთვის, რომ მან შეძლოს კონკრეტული (პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებების შესაბამისად) მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების შექმნა, ან ეკლექტური მიდგომით მუშაობისთვის საკმარისი კომპეტენციების შექმნა;
 5. გადაიხედოს ზოგიერთი კურსის მოცულობა და დაიგეგმოს თითოეული კურსისთვის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა;
 6. გადაიხედოს სასწავლო კურსი - რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით. შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან კურსის დასახელება და შინაარსი; კურსის შინაარსი მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს სამაგისტრო სწავლების დონეს.
 7. რეკომენდებულია თვისობრივი კვლევის კურსს უძღვებოდეს ის აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია გააჩნია კვლევის, კერძოდ, თვისებრივი კვლევის მიმართულებით; კურსის შინაარსი შეესაბამებოდეს დასახელებას, მოიცავდეს თვისებრივ კვლევაში გამოსადეგ მეთოდებს და არ მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად „სტატისტიკური კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში“ (კვირა I);
 8. რეკომენდებულია პოზიტიური და ტრანსკულტურალური მიმართულების ფსიქოკონსულტირების კურსისთვის შინაარსის შესატყვისი სახელწოდების შერჩევა;
 9. რეკომენდებულია არჩევითი საგნების ჩამონათვალში (კვლევის მეთოდების არჩევითი კურსები) რამდენიმე ისეთი (სამკრედიტიანი) კურსის დამატება, რომელიც მიმართული იქნება ცალკეული მეთოდის სიღრმისეულად, პრაქტიკულად ათვისებაზე და გამოადგებათ სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას;
 10. ვინაიდან სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მოუწევთ რაოდენობრივ (სტატისტიკური დამუშავება, SPSS) თუ თვისებრივ (კოდირება, სხვა ტიპის თვისებრივი ანალიზი, Nvivo) მონაცემებთან ურთიერთობა. შესაბამისად, რეკომენდებულია არჩევითი კურსის სახით მსგავსი კურსების შეთავაზება, რომელთაგან სტუდენტები თავიანთი სამაგისტრო ნაშრომიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ აირჩევენ სათანადო კურსს;
 11. რეკომენდებულია მეტად ინფორმაციული სილაბუსების (როგორცაა, მაგალითად, კურსების „სამეცნიერო წერის“ და „პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში“ სილაბუსები) შეთავაზება სტუდენტებისთვის;
 12. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსების სახელწოდებისა და შინაარსების ერთმანეთთან თანხმობაში მოყვანა;
 13. რეკომენდირებულია კვლევის კომპონენტის გაძლიერება კვლევის მეთოდების კურსების მოდიფიკაციითა და პროგრამაზე მეტად მორგებით და დამატებითი არჩევითი კურსების შეთავაზებით კვლევის მეთოდების მიმართულებით;
 14. „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავდეს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება შესაბამისი კვლევითი კომპეტენციის მქონე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი“. ასევე, გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი.
 15. მოწესრიგდეს და გაიმართოს დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არსებობას, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული და

კვლევითი პოტენციალის მქონე თანახელმძღვანელების დაბალანსების საკითხსა და თანაფარდობას.

16. დაწესებულებამ წარმოადგინოს დეტალური ბიუჯეტი, სადაც ასახული იქნება არამარტო საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯები, არამედ, უნივერსიტეტის მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების წყაროებიც.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი „სეუ“-ს „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია Biology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№39, 23.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Biology
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია Biology
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, №59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი № 1, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია:

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და მთელ მსოფლიოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე აკრედიტაციის ვიზიტი შედგა დისტანციურ ფორმატში (21.01.2021). ვიზიტმა მოიცვა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი - შეხვედრები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ონლაინ დათვალიერება. ვიზიტში მონაწილე მხარეებს ჰქონდათ კონსტრუქციული და თანამშრომლობითი დამოკიდებულება. პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა საშუალება მოგვცა გვენახა ლაბორატორიები, ზოოლოგიის მუზეუმი, ჰერბარიუმი, სასწავლო აუდიტორიები, აწსუ-ს ბიბლიოთეკა. შეხვედრებმა მშვიდ და სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაიარა.

პროგრამა სტანდარტების უმეტესობაში შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მხოლოდ ერთი სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. აღსანიშნავია, რომ იგრძნობა პროგრამაში ჩართული პერსონალის (როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული) დიდი მონდომება და მზაობა პროგრამის მუდმივი განვითარების/დახვეწის თვალსაზრისით. განხორციელდა SWOT ანალიზი და განისაზღვრა განვითარების შემდგომი მიმართულებები, გამოწვევები და საჭიროებები. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია, თუმცა არ

არის ასახული ინტერნაციონალიზაციის საკითხები. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მიზნებთან, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სტუდენტები იღებენ კვალიფიციურ კონსულტაციებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე. პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და აწსუ-ს შიდა რეგულაციებს. სასურველია თუ მოხდება პერსონალის გააქტიურება და წახალისება ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტების მოპოვების თვალსაზრისით და სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების კუთხით უფრო მაღალი სამეცნიერო ღირებულებისა და ხარისხის საერთაშორისო ჟურნალებში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია არამხოლოდ აკადემიური მოღვაწეობის, არამედ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გამოცდილება. პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო და ძირითადი მატერიალური და ტექნიკური რესურსით, თუმცა ყურადღება უნდა გამახვილდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განახლებასა და თანამედროვე სტანდარტებთან გათანაბრებაზე. პროგრამის ბიუჯეტი დგება უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის ზოგადი ფორმის მიხედვით და სასურველია ადაპტირდეს ბიოლოგიის პროგრამასთან და მოერგოს მის სპეციფიკაციას. პროგრამა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სწავლების ხარისხის განვითარების პროცედურებსა და რეგულარულ შიდა და გარე შეფასებებზე.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებში არ არის გაწერილი ინტერნაციონალიზაციის საკითხი რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება პროგრამის კურიკულუმს, მოხდა მისი ძირეული გადახედვა, დაემატა რამდენიმე მნიშვნელოვანი საგანი, ინტენსიური გახდა ინგლისურის სწავლება, შედეგები გადაიხედა და გაიწერა აკრედიტაციის სტანდარტების ამჟამინდელი მოთხოვნების შესაბამისად, გაკეთდა კურიკულუმის რუკა, სადაც აისახა თუ რომელი საგანი რა დონით უზრუნველყოფს ამა თუ იმ შედეგზე გასვლას.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ორი წლის განმავლობაში დაწესებულებას არ ჰყავდა ფრიადოსანი სტუდენტები, რაც დაწესებულებამ დაასაბუთა იმით, რომ დასახვეწი იყო შეფასების სისტემა.

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია, საქართველოში და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მქონე ან მასთან გათა- ნაბრებულ პირს, რომელმაც წარმატებით გაიარა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართ- ველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი პროცედურები და მოიპოვა უფლება სწავლა გააგრძელოს აწსუ-ში. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. შესაბამისად გათვალისწინებულია სათანადო კომპეტენციების მქონე პირთა სასწავლებლად მიღება პროგრამაზე. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიოლოგიის ბაკალავრი). უსდ-ში პროგრამაზე შესაძლებელია მობილობის წესით ჩარიცხვა. პროგრამა განთავსებულია ვებ-გვერდზე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებასთან დაკავშირებული პროცედურების სამართლიანობას, საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის დროს გათვალისწინებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი აქტები, ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნები, აგრეთვე აწსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პოლიტიკის EP-QA-ის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები.

ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის დროს ჰქონდა შეკითხვები დამატებით (minor) პროგრამასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო პროგრამაში და თვითშეფასების დოკუმენტში არსებული ბუნდოვანი ჩანაწერით. კერძოდ, სასურველია პროგრამაში მკაფიოდ და ნათლად ჩანდეს, რომ მე-5 კომპონენტის დამატებითი (minor) პროგრამის - კრედიტებს (60 ECTS) სტუდენტი ირჩევს სხვა დამატებითი (minor) პროგრამებიდან. ვფიქრობთ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასურველია ინფორმაციის დაზუსტება და მეტი სიცხადე, რაც სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მისთვის მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები თან- მიმდევრულად და ლოგიკურადაა გადანაწილებული, თითოეული სასწავლო კურსის შემ- თხვევაში სწორადაა განსაზღვრული შემდგომ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაში წარმოდგენილია ბიოლოგიის ტრადიციული დარგები. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გარდა არჩევითი სასწავლო კურსებისა, დამატებითი სხვა (minor) პროგრამიდან 60 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები. შეხვედრის დროს სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ პროგრამა უზრ- უნველყოფს საჭირო უნარების გამომუშავებას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სასწავლო კურსზე პასუხისმგებელი აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად ცდილობს საჭირო ცოდნის გაზიარებას სტუდენტებისთვის. კურსდამთავრებული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათი სურვილის გათვალისწინებით სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატა აკადემიური წერა. გარდა აღნიშნულისა, ზოგიერთი სასწავლო კურსის შემთხვევაში გაიზარდა პრაქტიკულ სამუშაოებზე დათმობილი საათების რაოდენობა.

ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS (1 ECTS მოიცავს 30 საათს), რომელიც განაწილებულია 5 კომპონენტში. სასწავლო კურსის სილაბუსები მოიცავს: სას- წავლო კურსის დასახელებას, სასწავლო კურსის კოდს, საგანმანათლებლო საფეხურს, სილაბუსის ავტორს (კერძოდ, განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის საკონტაქტო მონაცემებს), ფაკულტეტს, დეპარტამენტს, საგანმანათლებლო პროგრამას, სემესტრს, სასწ- ავლო კურსის სტატუსს, სწავლების ენას, კრედიტების რაოდენობას (საკონტაქტო და დამო- უკიდებელი მუშაობის თანაფარდობის გათვალისწინებით), სასწავლო კურსის მიზნებს, ფორმატს, სწავლის შედეგებს, კომპეტენციის ჩამონათვალს, სწავლა/სწავლების მეთოდებს, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს, სავალდებულო და დამატებით ლიტერატურას, მეცადინეობის ფორმას. აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი თითოეულ სასწავლო კურსში გათვალისწინებულია სილაბუსით განსაზღვრული კომპეტენციის მიღწევა. შესაბამისად, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის მეთოდები და სწავლის შედეგები შეესაბამება, როგორც ამ სასწავლო კურსის შინაარსს ისე, სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოყენებულია შესაბამისი მეთოდები. რაც შეეხება გამოყენებულ ლიტერატურას, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან. ინტერვიუების დროს, სტუდენტები დადებითად აფასებენ პროგრამაში წარმოდგენილ სასწავლო კურსებს, ასევე აღნიშნავენ, რომ მათი სურვილი გარკვეულწილად გათვალისწინებულია და ზოგიერთ სასწავლო კურსში გაზრდილია პრაქტიკული მეცადინეობების საათების რაოდენობა. მიუხედავად აღნიშნულისა, სტუდენტებმა კვლავ გამოთქვეს სურვილი პრაქტიკული მეცადინეობების საათების გაზრდასთან დაკავშირებით ზოგიერთი სასწავლო კურსის შემთხვევაში. აკადემიური პერსონალის მხრიდან ექსპერტებმა მიიღეს ამომწურავი პასუხები სასწავლო კურსებში პრაქტიკული და ლაბორატორიული კომპონენტის გაზრდასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღინიშნა რომ ამ მიმართულებით უკვე განხორციელდა ცვლილებები სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში გაიზარდა პრაქტიკული მეცადინეობების საათების რაოდენობა. გარდა აღნიშნულისა,

ეტაპობრივად დაგეგმილია ცვლილებები. ასევე, პროგრამის განვითარებისთვის განსაკუთრებით სასარგებლო იქნება სტუდენტებს ჰქონდეთ, თუნდაც არჩევითი სახით საბაკალავრო ნაშრომის/კვლევითი პროექტის მომზადების შესაძლებლობა.

აწსუ-ში ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტური სისტემით (შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა). თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტები და მეთოდები გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან და თავსებადობაშია შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან. შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის კომპონენტები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე შეფასებას. დასკვნითი გამოცდისთვის (გამოცდაზე დაშვების წინაპირობა, ასევე დასკვნით გამოცდაზე მიღებული მინიმალური შეფასება) დადგენილია შესაბამისი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. გარდა აღნიშნულისა, სასწავლო კურსის შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გათვალისწინებულია შეფასების რუბრიკა, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას. სასწავლო კურსის სილაბუსები განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ინფორმაციულ სისტემაში. გამოცდების ჩატარების პროცესს წარმართავს აწსუ-ს საგამოცდო ცენტრი. გამოცდებთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაცია თავსდება ვებ-გვერდზე. შეფასების სისტემაში დაცულია სტუდენტის უფლება გაასაჩივროს მიღებული შედეგები უსდ-ს განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, უსდ-ში შესაბამისი ნორმატიული აქტით რეგულირდება აპელაციის პროცედურა. შესაბამისად, სტუდენტი უფლებამოსილია შესაბამისი პროცედურების დაცვით მიმართოს რექტორის მოადგილეს და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს შედეგების გადასინჯვის მოთხოვნით. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით პროგრამის სტუდენტები იღებენ უკუკავშირს.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, აღსანიშნავია, რომ პროგრამაში საერთოდ არ არიან ჩართულნი მოწვეული ლექტორები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 2 პროფესორი, 29 ასოცირებული პროფესორი და ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლები. პროგრამაში მონაწილე ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია აწსუ-თან. აკადემიური პერსონალის შერჩევა და დანიშვნა ხდება ღია კონკურსის საფუძველზე. პერსონალის ნაწილს გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები და წიგნები, რომლებსაც იყენებენ თავიანთი სასწავლო კურსის ფარგლებში. ასევე გამოქვეყნებული აქვთ სტატიები, თუმცა ძირითადად ქართულ რეფერირებად ჟურნალებში და მითითებული საერთაშორისო ჟურნალები არ იძებნება SCOPUS-ის ბაზაში. ასევე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნაკლებია სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობა, მათ შორის უცხოური ფონდების მიერ დაფინანსებულ პროექტებშიც. აწსუ გამოყოფს შიდა გრანტებს კვლევითი საქმიანობისთვის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ამ შესაძლებლობას იყენებს. უნივერსიტეტს აქვს აკადემიური პერსონალის სემესტრულად განახლება და დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას და შეადგენს 1500 საათს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ლაბორატორიების უმეტესი ნაწილი, ჰერბარიუმი, ზოოლოგიური მუზეუმი და ვივარიუმი. უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია რამდენიმე კომპიუტერული ცენტრი. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების გამოკითხვის მიხედვით მათ დიდ ნაწილს, არ აკმაყოფილებს არსებული სასწავლო და სამეცნიერო აღჭურვილობა; არსებული ლაბორატორიული დანადგარები. ინტერვიუების დროს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ნაწილმა დაადასტურა, რომ ისურვებდნენ უფრო თანამედროვე ბიოლოგიური მეთოდების შესაბამის ლაბორატორიულ აღჭურვილობას

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის მიზანში უნდა აისახოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც 21-ე საუკუნის გლობალიზაციის პირობებში, სასწავლო პროგრამების განვითარებისა და წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.
2. უნდა მომზადდეს ბევრი საპროექტო წინადადება როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ფონდებისთვის და გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო პროექტებში.
3. მაქსიმალურად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გახდეს სასწავლო და სამეცნიერო აღჭურვილობა და ლაბორატორიული დანადგარები.
4. ბევრი საგრანტო წინადადება მომზადდეს, რომლის ბიუჯეტის დიდი ნაწილიც კონცენტრირდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება/განახლებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ გამოყო „ზოგადი ეკოლოგიის“ სასწავლო კურსი და აღნიშნა, რომ სილაბუსით განსაზღვრული პრაქტიკული მეცადინეობები, სადაც მოცემულია, მაგალითად სინათლე, როგორც ეკოლოგიური ფაქტორი. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ მიმდინარეობს პრაქტიკული მეცადინეობები?

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა უცხო ენასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ უმჯობესი იქნებოდა პროგრამაში მოცემული ყოფილიყო კონკრეტული უცხო ენა. გარდა ამისა უმჯობესია ფიზიკის მიმართულების გაძლიერება, რადგან ბიოფიზიკაში არის თემები, რომლებიც არ არის განხილული ფიზიკის კურსში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული მეცადინეობები ნაკლებადაა გათვალისწინებული და ასევე დაინტერესდა თუ სასწავლო კურსით გათვალისწინებულ რამდენ საათს ატარებს სტუდენტი ლაბორატორიაში. რაც შეეხება „ბიოქიმიის“ სასწავლო კურსს, საწყის თემატიკაში განსაზღვრული მეთოდების გამეორება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული სტუდენტებს უკვე შესწავლილი აქვთ.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით, თეორიული დატვირთვა მეტია ვიდრე პრაქტიკული. საბჭოს წევრმა ასევე ყურადღება გაამახვილა „ანატომიის“ სასწავლო კურსზე. კერძოდ, ლიტერატურაში მითითებულია სინერნიკოვის ატლასი, რომელიც

გამოცემულია საბჭოთა კავშირში. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს საკმაოდ ბევრი ანატომიური სტრუქტურა აკლია, შესაბამისად მნიშვნელოვანია მოხდეს ლიტერატურის განახლება.

საბჭოს წევრმა, ნინო იმნაძემ ისაუბრა სტუდენტების მიღების რაოდენობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დინამიკა არის შემცირებისკენ, შესაბამისად დაინტერესდა, არის თუ არა ჩატარებული დაწესებულების მიერ კვლევა მოცემული საკითხის მიზეზების დასადგენად. გარდა ამისა საბჭოს წევრი დაინტერესდა ჩატარებულია თუ არა შრომის ბაზრის კვლევა, რაც ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია ასევე, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები, თუმცა მხოლოდ საქართველოში არსებულ დაწესებულებებთან.

ნინო იმნაძემ ასევე ისაუბრა „ზოგადი ეკოლოგიის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემული სასწავლო კურსი ასევე მეორდება minor პროგრამაში, სადაც ხდება თემების გამეორება. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურა სასწავლო კურსებში შეცვლილია, თემატიკა მნიშვნელოვნად ემთხვევა ერთმანეთს. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა საჭიროებს დახვეწასა და გათანამედროვეებას. გარდა ამისა გაუგებარია, თუ რატომ არის სავსე პრაქტიკა კრედიტებში შემცირებული, მაგალითად „ზოოლოგიაში“ იყო 5 კრედიტი და შემცირდა 4 კრედიტამდე.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ექსპერტთან დააზუსტა მე-3 რეკომენდაციის საკითხი და დაინტერესდა სტუდენტები დაწესებულებაში გადიან ლაბორატორიულ მეცადინეობებს თუ მემორანდუმების საფუძველზე გამოყენებული არის გარე საკვლევი ბაზები?

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის მიხედვით, გამოკითხული არის 4 დაწესებულება და დაინტერესდა მიიჩნევენ თუ არა ექსპერტები მოცემულ კვლევას ვალიდურად?

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ პროგრამა იმეორებს „გეოგრაფიის“ პროგრამის ბიუჯეტში დაშვებულ შეცდომებს. ბიუჯეტის მიხედვით პრაქტიკის კომპონენტისთვის განსაზღვრული 80 ლარი, ერთ სტუდენტზე 20 ლარი, რაც ნიშნავს 4 სტუდენტის გაშვებას პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ხოლო ოპტიმალურში მოცემულია 19. ბიუჯეტის შედგენა საჭიროებს მეტ ყურადღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს პროგრამის შეფასებისთვის და ისაუბრა „ზოგადი ეკოლოგიის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით, რომელიც საბაკალავრო საფეხურზე მე-3 სემესტრშია გათვალისწინებული 2 ლექციისა და ერთი პრაქტიკული მეცადინეობის სახით. პრაქტიკული მეცადინეობები ძირითადად ატარებენ სემინარული სამუშაოების ხასიათს, თუმცა არის რიგი საკითხები, რომლებიც ხორციელდება პრაქტიკული მეცადინეობების სახით.

რაც შეეხება უცხო ენების კურსს, პროგრამით გათვალისწინებულია 4 უცხო ენა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული. ყველა საბაკალავრო პროგრამაში, გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა, 20 კრედიტით განსაზღვრულია ოთხივე უცხო ენა, რაც ინტერნაციონალიზაციისკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია.

პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ „ბიოქიმიის“ სასწავლო კურსი საჭიროებს გადახედვას, განსაკუთრებით ლაბორატორიული მუშაობების მიმართულებით. აღნიშნული განხილული იქნება კურსის განმახორციელებელთან და მოხდება აუცილებელი ცვლილებების გატარება.

რაც შეეხება „ანატომიის“ სასწავლო კურსს, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, განმახორციელებლის ერთ-ერთი არგუმენტი სინერნიკოვის ატლასის გამოყენებასთან დაკავშირებით იყო, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო სრულყოფილი და კლასიკურია. თუმცა მოხდება საკითხის გადახედვა და ლიტერატურის საჭიროებისამებრ განახლება.

მნიშვნელოვანია ასევე სტუდენტების ნაკადის საკითხი, კერძოდ სტატისტიკის მიხედვით 2020 წელს დაფიქსირდა სტუდენტების საკმაოდ მცირე რაოდენობა, რაც ეროვნულ გამოცდებზე მესამე საგნის ცვლილებასაც შეეძლო გამოეწვია, რადგან ბიოლოგიის პროგრამაზე მე-3 საგნად ბარდება მათემატიკა. თუმცა, დაწესებულება აქტიურად განაგრძობს მუშაობასა და დაკვირვებას აღნიშნული მიმართულებით.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, დაწესებულებამ აღნიშნული ყველა პროგრამისთვის განახორციელა, თუმცა ვერ მოხერხდა მასალის სათანადოდ დამუშავება პროგრამის წარმოდგენის დროისთვის. გამოკითხულ დაწესებულებებს შორის არიან დაავადებათა კონტროლის ცენტრი და სურსათის სააგენტოს ლაბორატორია. დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ აყვანილი იქნა პროგრამის 6 სტუდენტი.

რაც შეეხება ექსპერტთა რჩევას საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით, დაწესებულებაში აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გარკვეული ცვლილებები უკვე ხორციელდება. დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს მიაჩვიოს სტუდენტი წერისა და კვლევის კულტურას, შესაბამისად მუდმივად განიხილება პლაგიატს საკითხები.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრა მემორანდუმის საკითხებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დაწესებულებაში შეიქმნას ბაზა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, შეიძინონ მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარები. რაც შეეხება ბიუჯეტს, დაწესებულება ძირითადად ფინანსდება სტუდენტთა გადასახადებით, თუმცა მიღება პროგრამაზე იყო ძალიან მცირე, რამაც გამოიწვია შეკითხვები. მიუხედავად ამისა, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა მოხდა მობილობის საშუალებით. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ბიუჯეტი მოერგოს კონკრეტულ პროგრამას.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა დაავადებათა კონტროლის ცენტრთან თანამშრომლობის საკითხზე და აღნიშნა, რომ იქ მომუშავე სტუდენტებს ჰქონდათ შესაბამისი უნარები და ასევე ცენტრში განიხილავდნენ მათი სამომავლო დასაქმების პერსპექტივას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია დაწესებულებისათვის.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში არსებული ხარვეზების მიუხედავად, მე-4 სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია, რაც აჩენს კითხვის ნიშნებს.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დოკუმენტალურად ბიუჯეტის ფორმა დაწესებულებას გააჩნია, თუმცა მოცემული ფორმა არ არის მორგებული პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ რა იგულისხმებოდა ბიუჯეტის ფორმაში, დოკუმენტური ფორმა თუ შინაარსი?

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების სტრატეგიის მიხედვით, ცალკეული პუნქტების შემცველი ბიუჯეტი არის წარმოდგენილი საერთო ფორმით სხვადასხვა პროგრამისთვის და შესაბამისად ბიუჯეტის ფორმაში არ არის გათვალისწინებული პროგრამის სპეციფიკურობა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიძემ განმარტა, რომ კვალიფიკაციათა ჩარჩოში გათვალისწინებულია კვლევითი ხასიათის ნაშრომისა ან პროექტის განხორციელება განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ გადის აღნიშნულ კომპეტენციაზე სტუდენტი. ასევე საყურადღებოა, რომ მოცემული საკითხი ექსპერტებს მითითებული აქვთ რჩევებში.

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა „კალკულუსის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კურსი ძირითადად ფარავს მათემატიკის საკითხებს და მასში არ არის მოცემული სტატისტიკის საკითხები, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ბიოლოგიის პროგრამისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ „კალკულუსი“ პროგრამაზე ისწავლება პირველ სემესტრში, რაც შეეხება სტატისტიკას, პროგრამაზე წარმოდგენილია თავისუფალი 5 კრედიტიანი კომპონენტი, რომელიც გულისხმობს, უნივერსიტეტის მასშტაბით სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან სასწავლო კურსის შეთავაზებას. მათემატიკის

დეპარტამენტი ახორციელებს „გამოყენებითი სტატისტიკის“ სასწავლო კურსს, რომელიც მოცემულია თავისუფალი კომპონენტის ჩამონათვალში და შეთავაზებულია სტუდენტებისთვის, თუმცა მოხდება აღნიშნული საკითხის გადახედვაც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კვლევითი უნარების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კვლევითი უნარების ჩამოყალიბება გარკვეულწილად ხდება ლაბორატორიული სამუშაოების შედეგად, რომელიც პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსებში არის მოცემული. პროგრამით გათვალისწინებულია ასევე ჯგუფური პრეზენტაციები, რომელიც მოიცავს კვლევით კომპონენტსაც, თუმცა, საბაკალავრო ნაშრომი არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მინიმუმ როგორც არჩევითი საშუალება გაუძლიერებს სტუდენტებს კვლევით უნარებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:55

დასრულების დრო: 20:36

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

20:04 საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ჭალაგანიძემ

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და მეორე სტანდარტი ნაცვლად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, გაძლიერდეს პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კომპონენტები;
2. დარგთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სასწავლო კურსებში შემავალი თემები, მოხდეს მათ შორის ლოგიკური ბმის განხორციელება და პრაქტიკული კომპონენტის დამატება;
3. მოხდეს დარგის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამაში შემავალ სასწავლო კომპონენტებში;
4. სამომავლოდ ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა, სადაც კვლევის შედეგების ვალიდურობა დადასტურებული იქნება.
5. პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას დეტალურად გაიწეროს ხარჯები, ხარჯების შემოსავლებზე მეტობის შემთხვევაში მითითებული იქნას მათი დაფარვის წყაროები.
6. წარმოდგენილი იქნას 5 წლიანი გეგმა, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი ლაბორატორიების ეტაპობრივად განახლების გრაფიკი, რომელიც სტუდენტებს ექსპერიმენტების თანამედროვე აპარატურით ინდივიდუალურად ჩატარების საშუალებას მისცემს;
7. პროგრამის მიზანში უნდა აისახოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც 21-ე საუკუნის გლობალიზაციის პირობებში, სასწავლო პროგრამების განვითარებისა და წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.
8. უნდა მომზადდეს ბევრი საპროექტო წინადადება როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ფონდებისთვის და გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო პროექტებში.
9. მაქსიმალურად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გახდეს სასწავლო და სამეცნიერო აღჭურვილობა და ლაბორატორიული დანადგარები.

10. მომზადდეს ბევრი საგრანტო წინადადება, რომლის ბიუჯეტის დიდი ნაწილიც კონცენტრირდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება/განახლებაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე

ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

საბჭო

საბჭოს მდივანი

შენგელია მარიამ

